
JF
Georgia
jfgeorgia.ge
თმის პროფესიონალური მოვლა
Jungle Fever, Eckoz Professional, Luxury, Hair Company,
Viba Professional.

ჩვენ შესახებ

კომპნია "ჯეი ეფ ჯორჯია" დაარსდა 2015 წელს. პირველი ბრენდი, რომლის წარმომადგენელიც გახდა იყო იტალიური ბრენდი Jungle Fever- ი. კომპანია ფლობს ორ მიმართულებას: საცალო გაყიდვების ხაზს და სადისტრიბუციო მომსახურებას. ასევე მის მფლობელობაში შედის ბრენდების წარმომადგენლობითი სალონები და სასწავლო აკადემია JF Academy.

საცალო მომსახურების მიღება ამ ეტაპზე შესაძლებელია:
• Tbilisi Mall • თბილისი მოლი
• City Mall • სითი მოლი • ქავთარაძის #1
• City Mall • გლდანი ვეკუას #1
• East Point • ა. თვალჭრელიძის ქ #2
• JF Beauty Studio • ნუცუბიძის ქ #14ბ
• Beauty Hub • დ. აღმაშენებლის გამზირი #147
• Batumi Mall • ქ. ბათუმი • ზ. გორგილაძის ქ #88
• Grand Mall • ქ. ბათუმი • შ. ხიმშიაშვილის ქ #29
• West Point • ქ. ქუთაისი • ჟ. შარტავას ქ #2
• Beauty Hub • ქ. ახალციხე • თამარაშვილის ქ #6

ასევე ონლაინ არხებზე და პარტნიორ სალონებში. სადისტრიბუციო მიმართულებით კომპანია ემსახურება 6000- მდე ობიექტს საქართველოს მასშტაბით.

კომპანია ატარებს ყოველკვირეულ სემინარებს იმ პროდუქტების გამოყენებით, რომელიც კომპანიის ქუდის ქვეშ არის გაერთიანებული, რათა სტილისტებს მიაწოდოს, როგორც თეორიული ინფორმაცია, ასევე შესძინოს პრაქტიკული გამოცდილება. ყოველწლიურად „ჯეი ეფ ჯორჯია" მასპინძლობს იტალიელ ამბასადორებს და აწყობს გრანდიოზულ სემინარს სადაც, სტუმრები ეცნობიან შემდეგი წლის ტენდენციებს. კომპანია ასევე უზრუნველეყოფს საქართველოში მოღვაწე სტილისტების დასწრებას იტალიის საერთაშორისო სემინარზე.

"ჯეი ეფ ჯორჯია" აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა აქტივობებში. ბოლო წლების განმავლობაში პარტნიორობს ქვეყნის ყველა მეგაპროექტთან, ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანია MBFW-ის (Mercedes Benz Fashion Week) პარტნიორია თმის მოვლის მიმართულებით. რა თქმა უნდა არც სოციალურ პასუხისმგებლობას გავურბივართ. კომპანიის დაქვემდებარებაში მყოფი სტილისტები წლის განმავლობაში მოხუცთა თავშესაფარს სტუმრობენ და მათ განწყობასა და ვიზუალზე ზრუნავენ. ასევე კომპანია თავის მხრივ თმის მოვლის საშუალებებით ამარაგებს ზემოთხსენებულ დაწესებულებებს.

საერთაშორისო ასპარეზზე 2017 წელს "ჯეი ეფ ჯორჯია"-მ მონაწილეობა მიიღო NG Group-ის მიერ, იტალიაში, ქალაქ მილანში ჩატარებულ უდიდეს ღონისძიებაში, სადაც მსოფლიოს 130 დისტრიბუტორი ქვეყანა იყო წარმოდგენილი, საქართველო და "ჯეი ეფ ჯორჯია" ნომერ პირველ დისტრიბუტორ ქვეყნად დაასახელა.

ჩვენ უკვე არაერთი მსოფლიოს წამყვანი ბრენდის წარმომადგენლები ვართ, შესაბამისად თმის მოვლის მიმართულებით ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი სრულყოფილი და მრავალფეროვანია. სხვადასხვა მცენარეულ ექსტრაქტებზე დამზადებული ხარისხიანი ნაერთები როგორიცაა: არგანი, ბურითი, ალოე ვერა, ვაშლი, ბაბასუ, ავოკადო და სხვ. გაძლევთ საშუალებას კონკრეტული თმის ტიპის მიხედვით შეარჩიოთ თქვენთვის საჭირო და სასურველი პროდუქცია. კომპანია მუდმივად შეისწავლის პროდუქტის მაქსიმალურ ეფექტურობას ჯანმრთელობის თვალსაზრისით, შესაბამისად პროდუქტები 100%-ით უვნებელია.



Jungle fever™

Jungle Fever- ის წარმოება იტალიურმა კომპანია GM Cosmetic- მა 2008 წელს დაიწყო. თავად GM Cosmetic- ი კი დაარსდა 1968 წელს და აერთიანებს ინოვაციური კოსმეტიკის მსოფლიოს ლიდერ ბრენდებს. მის მიერ წარმოებული პროდუქტი არის პრემიუმ კლასის, ეკოლოგიურად სუფთა, მცენარეულ, ნატურალურ კომპონენტებსა და ეთერზეთებზე დამზადებული. პროდუქციის ხარისხიდან გამომდინარე, მას მიღებული აქვს ECO და ISO სერტიფიკატები.



ჰაერიტრა მოიცავს

134

ფერს



Bleach Powder

7 დონის გამაღიავებელი ფხვნილი

გამაღიავებელი ფხვნილი დამზადებულია შიის კარაქისა და შავი მოცხარის თესლის ზეთზე. ფხვნილი მიკრო გრანულებისაგან გარდაიქმნება ბლანტ ნარევად და გამოიყენება პროფესიონალური ტექნიკებისთვის.ფხვნილი 7 დონით აღიავებს თმას. პროდუქტი ანეიტრალებს არასასურველ ყვითელ ფერს და სხვა ტონებს. შიის კარაქი და მოცხარის თესლის ზეთი, განსაკუთრებით ეფექტურია, როგორც დამატენიანებელი და ანტიოქსიდანტი საშუალება,შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმოვან მჟავებს, ომეგა 3- სა და ომეგა 6- ს, E, D ვიტამინებსა და პრო ვიტამინ A- ს.

მოცულობა I 500 გრ

Color Cream

სალებავი

მრავალფეროვანი ფერთა გამა, მდგრადი ფერი და მაღალი ხარისხი, სწორედ ეს სამი კომპონენტი ქმნის Jungle Fever-ის საღებავების პალიტრას. საღებავის ტექნოლოგია და შემადგენლობა:მიკრო-ქრომირების შედეგად პიგმენტები ღრმად აღწევს ფერის მოლეკულებში, გარდაიქმნება და აყალიბებს ინტენსიურ ტონს.Jungle Fever- ის სხვადასხვა ფერის საღებავები გამდიდრებულია ისეთი ანტიოქსიდანტებით, როგორებიცაა: პალმის ზეთი, A, E, D და K ვიტამინები, სწორედ ეს კომპონენტები ანიჭებენ თმას ელასტიკურობას, მოცულობასა და ბზინვარებას. საღებავში ამიაკის შემცველობა მხოლოდ 0.025%-ია.

მოცულობა I 100 მლ



Oxidising Emulsions

ოქსიდანტი ემულსიის ფორმულა გამდიდრებულია კოსმეტიკური გლიცერინით, თმისთვის საჭირო ზეთების ნაერთით, PEG-40-ით, რომელიც უნარჩუნებს თმას სირბილეს და მბზინვარებას, ასევე ატენიანებს მას შეღებვისა და გაღიავების დროს.



Blonde Please

9- დონის გამაღიავებელი ფხვნილი

ფორმულა შეიცავს პოლიამინის შაქრის პლექსს და ამინომჟავების კომპლექსს, რომლებიც იცავენ თმას დაზიანებისგან და აძლიერებენ მის სტრუქტურას.პოლიამინის შაქრის პლექსი მცენარეულ ზეთთან კომბინაციით, იცავს თმას აგრესიული ზემოქმედებისგან, უზრუნველყოფს თმის საუკეთესო ფერს, მისი ნატურალური სტრუქტურის შენარჩუნებით. გაღიავების შემდეგ, თმა ისევ ბზინვარე, რბილი და მორჩილი რჩება. ოლიგოსაქარიდები ქმნის ქსელის მსგავს სტრუქტურას, რომელიც იღებს და ინარჩუნებენ წყალს თმის სტრუქტურაში, ასევე იცავს მას გამოშრობისგან.

მოცულობა I 500 გრ

ემულსია გამხსნელი

ფორმულირება I 3%, 6%, 9%, 12%

ემულსია შეიცავს ისეთ აქტიურ ინგრედიენტებს, რომლებიც იცავენ თმას, ანიჭებენ ბზინვარებასა და სირბილეს. აქვს სასიამოვნო სურნელი და არის ანტიალერგიული, რაც პროდუქტის გამოყენების პროცესს უფრო სასიამოვნოს ხდის, როგორც სტილისტისთვის, ასევე მომხმარებლისთვის. არ შეიცავს გლუტენსა და სულფატებს.

მოცულობა I 1000 I 150 მლ



SEDUCTION

პალიტრა მოიცავს

12

ფერს

კრემ საღებავი

სედაქშენი პირდაპირი პიგმენტია, რომლის ფერთა გამა, საშუალებას იძლევა გამოხატო საკუთარი ინდივიდუალურობა და შექმნა სხვადასხვა ფერის კომბინაცია. კრემ-საღებავში შემავალი პიგმენტები უზრუნველყოფენ მდგრად ფერს. მისი მულტივიტამინური შემადგენლობა ატენიანებს, აჯანსაღებს და ბზინვარებას მატებს თმას. არ საჭიროებს გამხსნელს, არ შეიცავს ამიაკს. მდგრადი ფერი ნარჩუნდება 6 კვირამდე.

მოცულობა | 100 მლ



პალიტრა მოიცავს

11

ფერს

Nourishing Color Mask

ფერადი ნიღბები

ფერადი ნიღბები კვებავს თმას და ბზინვარებას მატებს თმას. ფერების სრული ასორტიმენტი შესაძლებლობას გაძლევთ შექმნათ სხვადასხვა ფერთა კომბინაცია.

3D ბრილიანტის ტექნოლოგია: უახლესი 3D ტექნოლოგია ფერის მიკრო პიგმენტებს მელანინს გადასცემს. უნიკალური, აღმდგენი და დამატენიანებელი ინგრედიენტები აძლიერებენ და კვებავენ თმის სტრუქტურას. სურვილისამებრ, ინდივიდუალური იმიჯის შესაქმნელად, გამოიყენეთ ფერთა გამა. ქრომატული ფილტრი ეხმარება თმას შექმნას სასურველი შედეგი.ნეიტრალური ნიღაბი იდეალურია სასურველი შედეგის მისაღებად და ფერების გაზავებისთვის. ასევე, გამოიყენება თმის ბზინვარებისთვის.

მოცულობა | 250 მლ



3 ACTION

დამცავი კრემი
3 მოქმედება 1-ში

ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებული კრემი, უნიკალური პროდუქტია თმის პროფესიონალური მოვლის სფეროში. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც საღებავში, ასევე, გამაღიავებელ ფხვნილში. უნიკალური ინგრედიენტების მეშვეობით, აქვს სამმაგი მოქმედება თმასა და თავის კანზე.

1. თმის ჰიდრატაცია: ატენიანებს თმას და აქვს დამამშვიდებელი მოქმედება. შედეგად თმა არის რბილი, ელასტიკური და მბზინვარე.

2. თავის კანის და თმის დაცვა: ამშვიდებს თავის კანს. არ იწვევს თმის ძირების გაღიზიანებას, ქავილს, სიწითლესა და წვას.

მოცულობა | 400 მლ



Steel Reflection

სიყვითლის საწინააღმდეგო შამპუნი

შამპუნი ნაზად ასუფთავებს თმას, ამცირებს სიყვითლის დონეს, რაც ხელს უწყობს მბზინვარე ქერა თმის წარმოჩენას. ფორმულირებულია უახლესი თაობის ლურჯა და იასამნისფერი პიგმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხანგრძლივ შედეგს. შამპუნი ყვითელი ტონებისგან ეტაპობრივად ასუფთავებს თმას და უბრუნებს მას ბუნებრივ ფერს.
მისი გამოყენება შესაძლებელია ღია, ნაცრისფერ და გამომშრალ თმაზე. სწორად შერჩეული დაბალანსებული ინგრედიენტები ღრმად კვებავენ, არბილებენ და იცავენ თმას დაზიანებისგან.

გამოყენების წესი:
დაიტანეთ მცირე რაოდენობით სველ თმაზე, ნაზად გაინაწილეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ. რეკომენდებულია ხელთათმანების გამოყენება.

მოცულობა | 500 მლ



Puri Detox

Detox Shampoo

ნახშირის შამპუნი

ნაზი წმენდის შამპუნი შეიცავს ისეთ აქტიური ინგრედიენტებს როგორებიცაა: ბაობაბის, ნემის, შავი კუმინის ზეთების ნაზავი,ნახშირის და ჭინჭრის ექსტრაქტები, რომლის დახმარებით ის ნაზად ასუფთავებს თმასა და სკალპს. აქვს დეტოქსიკაციისა და გამწმენდი მოქმედება. ასუფთავებს თმასა და სკალპს მძიმე მეტალებისგან. იარუსის ექსტრაქტი არეგულირებს ცხიმის გამომუშავებას და ამშვიდებს სკალპს. ატენიანებს და კვებავს თმას. ანიჭებს თმას სირბილესა და სიმსუბუქეს.

- ასუფთავებს თმას ეთერზეთების მოცილების გარეშე;
- თმას ხდის გლუვს და მორჩილს;
- ასუთვავებს სკალპს;
- თმას ხდის ელასტიურს;
- აძლიერებს ბუნებრივ ბზინვარებას;
- განკუთვნილია ყველა ტიპის თმისთვის;

გამოყენება: წაისვით შამპუნი სველ თმაზე და კარგად შეიზილეთ სკალპზე. ამის შემდეგ, კარგად ჩამოიბანეთ შამპუნი თმიდან თბილი წყლით.

მოცულობა I 250 მლ

Detox Mask

ნახშირის ნიღაბი

ნახშირის ნიღაბი შეიცავს ისეთ ინგრედიენტებს როგორებიცაა: ნემის, ბაობაბის და შავი კუმინის ზეთი. მისი მდიდარი შემადგენლობით, უზრუნველყოფს თმის ღერის ღრმა კვებას, აღდგენას, დაცვას და ღრმა დეტოქსიკაციას. ის აღადგენს თმის სტრუქტურას და უბრუნებს მას ჯანსაღ იერს.

- კვებავს თმას და ამაგრებს თმის ბოჭკოებს;
- ანიჭებს სიმსუბუქეს და ბზინვარებას;
- აძლიერებს თმის ფერს;
- თმას ხდის ელასტიურს
- აძლიერებს ბუნებრივ ბზინვარებას;
- განკუთვნილია ყველა ტიპის თმისთვის.

გამოყენების წესი: წაისვით დიდი რაოდენობით ნახშირის ნიღაბი პირსახოცით გამშრალებულ თმაზე. ფოკუსირება გააკეთეთ თმის სიგრძეზე და ბოლოებზე. გაიჩერეთ ნიღაბი 5-10 წუთის განმავლობაში. ჩამოიბანეთ ნიღაბი საფუძვლიანად თბილი წყლით.

მოცულობა I 250 მლ

Detox Spray

ნახშირის სპრეი

სპრეი გამდიდრებულია ისეთი უნიკალური ნაზავით, როგორიცაა ნემის ზეთი, ბაობაბის ზეთი და შავი თესლის ზეთი, რომლებიც ერთად მუშაობენ და იცავს თქვენს თმას ყოველდღიური დაბინძურებისა და სტრესისგან. სპრეი უზრუნველყოფს თანაბარ დაფარვას და ანიჭებს თმას სასიამოვნო სუნს.

- გამწმენდი და დამცავი თმის სპრეი;
- მომენტალურად ასუფთავებს და ანახლებს თმას;
- იცავს დაბინძურებისა და თავისუფალი რადიკალებისგან;
- კვებავს მსუბუქი, უცხიმო ზეთებით;
- აძლიერებს და აცოცხლებს თმის ბოჭკოებს;
- არ ტოვებს კვალს და არ ამძიმებს თმას;
- გამოდგება გამოყენებისთვის და ყველა ტიპის თმისთვის.

გამოყენება: გამოყენებამდე კარგად შეანჯღრიეთ თმის სპრეი რათა შეურიოთ აქტიური ინგრედიენტები ერთმანეთს. დაიჭირეთ ბოთლი თმიდან დაახლოებით 30 სანტიმეტრის დაშორებით და თანაბრად შეისხრეთ მშრალ ან პირსახოცით გამშრალებულ თმაზე. დაივარცხნეთ თმა თანაბრად განაწილებისთვის.

მოცულობა I 150 მლ



Gloss Intense

მახასიათებლები

- ქმნის შეუდარებელ, ხანგრძლივ ბზინვარებას
- იცავს თმას ყოველდღიური მავნე ზემოქმედებისგან
- კვებავს და აღადგენს თმის სტრუქტურას
- უზრუნველყოფს ღრმა, ინტენსიურ ბზინვარებას და დაცვას
- ქმნის დამცავ ფენას UV სხივებისა და დაბინძურების წინააღმდეგ
- აძლიერებს თმის სტრუქტურას

გამოყენება: გამოიყენეთ შამპუნის შემდეგ. წაისვით ლამინირების ხსნარი სუფთა, პირსახოცით გამშრალებულ თმაზე. თანაბრად გაყავით მთელ სიგრძეზე. დაიტოვეთ 10 წუთი და კარგად ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

მოცულობა I 250 მლ

ლამინირების ხაზი

Gloss Intense Step 1

მოსამზადებელი შამპუნი, შექმნილია სკალპის ღრმა წმენდითვის. შამპუნი უზრუნველყოფს სკალპის საფუძვლიან გაწმენდას და ამზადებს თმას ლამინირების პროცედურისთვის.

დამზადებულია შვრიის ექსტრაქტით, რომელიც კვებავს, ატენიანებს, აძლიერებს, აჯანსაღებს და ანიჭებს თმას სიმსუბუქეს და ბზინვარებას. ამცირებს სკალპის ქავილს. უნარჩუნებს თმას ph- ბალანსს, კვებავს თმას და აუმჯობესებს თმის ბზინვარებასა და სიძლიერეს.

- ღრმად ასუფთავებს თმასა და სკალპს.
- ამზადებს ლამინირების პროცედურისთვის.
- არ აშრობს თმას.

გამოყენება: წაისვით შამპუნი სველ თმაზე და კარგად შეიზილეთ სკალპზე. ამის შემდეგ, კარგად ჩამოიბანეთ შამპუნი თმიდან თბილი წყლით და გააგრძელეთ Gloss Intense Step 2 ლამინირების პროცედურა.

მოცულობა I 250 I

Gloss Intense Step 2

ლამინირების რევოლუციური პროდუქტი სძენს თმას ბზინვარებასა და სირბილეს. ლამინირების ხსნარი გამდიდრებულია მკვებავი და ბზინვარების გამაძლიერებელი ელემენტებით, რომლებიც თმას ფარავს დამცავი ფენით. ეს ფენა არა მხოლოდ ბზინვარებას მატებს თმას, არამედ იცავს გარე დაზიანებისგან, როგორიცაა დაბინძურება და ულტრაიისფერი სხივები. ეს პროდუქტი ავსებს თმის თითოეულ ღერს აუცილებელი დამატენიანებელი და აღმდგენი ინგრედიენტებით, აახლებს და აძლიერებს თმას შიგნიდან გარეთ. გამდიდრებულია კერატინის კომპლექსით.

Gloss Intense Step 3

ეს უნიკალური Co- Wash სპეციალურად შექმნილია იმისთვის, რომ ნაზად გაწმინდოს თქვენი თმა პროცედურის შემდეგ. დამატენიანებელი ფორმულა ღრმად კვებავს თმას და ანიჭებს მას სირბილეს, ელასტიურობას და ბზინვარებას.

შემდგომი მოვლის პროდუქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ლამინიების პროცედურის გასაგრძელებლად. ის ხელს უწყობს ფერის შენარჩუნებას. მდიდარი, დამატენიანებელი ფორმულა ღრმად კვებავს თმას და ანიჭებს მას სირბილეს, ელასტიურობას და ბზინვარებას.

- უზრუნველყოფს ნაზ წმენდას
- ატენიანებს და არბილებს თმას
- ხელს უწყობს თმის ბზინვარებასა და ფერის შენარჩუნებას
- თმას ხდის რბილს, ელასტიურს და მორჩილს

გამოყენება: წაისვით Co-Wash სველ თმაზე შემდეგ. ნაზად შეიზილეთ სკალპში და თმაში. დატოვეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, კარგად ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

მოცულობა I 250 მლ



Curly

Shampoo

ხვეული თმის შამპუნი

შამპუნი შეიცავს კუპუაკუს კარაქსა და ქოქოსის რძეს. იგი გამდიდრებულია B და C ვიტამინებით. ინგრედიენტები ნაზად კრავენ კულულებს. თმა ხდება უფრო ელასტიკური, რბილი და მბზინვარე. ქოქოსისა და ტიარეას ყვავილის კომპლექსი სათუთად ასუფთავებს თმას. აქვს სასიამოვნო სურნელი.

მოცულობა I 250 I 1000 მლ

Mask

ხვეული თმის ნიღაბი

ნიღაბი თმას სიმსუბუქესა და ელასტიკურობას ანიჭებს, ასევე უნარჩუნებს თმას ბუნებრიობას. ნიღბის შემადგენლობაში არსებული ხილის ექსტრაქტები კი კულულებს ვიტამინებით კვებავენ.

მოცულობა I 500 მლ

Cream

ხვეული თმის კრემი

კრემი ეფექტურია თმის დასატენიანებლად. ხვეულ თმას ანიჭებს სირბილეს, ბზინვარებას, სიკაშკაშესა და ელასტიკურობას. კუპუაკუს კარაქი და ქოქოსის ზეთი, ტიარეს ყვავილთან და მალტოდექსტრინთან ერთად, ზრუნავენ თმის თერმო დაცვასა და ბუნებრივ ბალანსზე.

მოცულობა I 150 მლ



Color Care

Shampoo

შეღებილი თმის შამპუნი

შეიქმნა ფერის გასაძლიერებლად, გასაცოცხლებლად და აღსადგენად. გოჯის, მზესუმზირისა და წითელი ვაზის ექსტრაქტი, ვიტამინ PP-ს დახმარებით აღადგენს თმის სტრუქტურას, აძლიერებს და სძენს მას ბზინვარებას. ხილის მჟავის კომპლექსი კი თმას ბუნებრივ სიძლიერესა და ბრწყინვალებას უნარჩუნებს.

მოცულობა I 250 I 1000 მლ

Conditioner

შეღებილი თმის კონდიციონერი

იცავს თმის ფერს გაღიავებისაგან და აცოცხლებს მას. გოჯის, მზესუმზირის და წითელი ვაზის ექსტრაქტი, ვიტამინ PP-ს დახმარებით, აღადგენს თმის სტრუქტურას, ხილის მჟავების კომპლექსი აძლიერებს თავის კანს და სძენს მას ბზინვარებას.

მოცულობა I 250 I 1000 მლ

Mask

შეღებილი თმის ნიღაბი

ნიღბის გამოყენების შემდეგ თმა ხდება რბილი, ხავერდოვანი და ადვილად დასავარცხნი. თმის ფერი კი აბრეშუმის პროტეინისა და ზეითუნის ზეთის დახმარებით ნათელი რჩება.

მოცულობა I 500 მლ



Frizz'out

Shampoo

დამუხტვის საწინააღმდეგო შამპუნი

შამპუნი გამომშრალი, დაზიანებული თმისთვის. სპეციფიკური ინგრედიენტები, როგორებიცაა: კოლიგლუტამინის მჟავა და პროლინი, ანიჭებენ თმას მოცულობას და აჯანსაღებენ მის სტრუქტურას. ბაბასუს ზეთისა და მურუმურუს კარაქის კომპლექსი, ჰიდროლიზებული ხორბლის ცილებისა და მელიფიორის თაფლის ექსტრაქტით, იცავენ და კვებავენ თმას. ანიჭებენ მას წარმოუდგენელ სირბილეს, მბზინვარებასა და ჯანმრთელ იერს.

მოცულობა | 250 | 1000 მლ



volume

Shampoo

მოცულობის მისანიჭებელი შამპუნი

შამპუნი განკუთვნილია მშრალი და თხელი თმისთვის. ამინომჟავების ერთობლივი მოქმედება (კრეატინი, პროლინი, არგანინი) მალტოდექსტრინთან და ჯანჯაფილის ექსტრაქტთან ერთად ატენიანებენ და აძლიერებენ თმას. შამპუნი არბილებს თმას, ანიჭებს აბრეშუმისებრ ეფექტსა და მოცულობას. გამდიდრებულია კოლაგენით, რომელიც აღადგენს და იცავს თმას გარემოს მავნე ზემოქმედებისგან.

მოცულობა | 250 | 1000 მლ

Mask

დამუხტვის საწინააღმდეგო შამპუნი

მკვებავი ნიღაბი თაფლის ექსტრაქტით, თმას ბუნებრივ სირბილესა და ელასტიკურობას სძენს. შიის კარაქი, პოლიგლუტამინის მჟავა, პროლინი და ჰიდროლიზებული ხორბლის ცილები, კვებავენ თმას და სძენენ მას მოცულობას. ბაბასუს ზეთისა და მურუმურუს კარაქის კომპლექსი, მელიფიორის თაფლის ექსტრაქტთან ერთად, ზრუნავს თმის ღერის დაცვაზე, სირბილესა და მბზინვარებაზე. უნიკალურ ინგრედიენტთა ერთობლიობა ხელს უწყობს დაზიანებული და დასუსტებული თმის აღდგენას.

მოცულობა | 200 | 400 მლ

Conditioner

მოცულობის მისანიჭებელი კონდიციონერი

ამინომჟავების ერთობლივი მოქმედება (კრეატინი, პროლინი, არგანინი) მალტოდექსტრინთან და ჯანჯაფილის ექსტრაქტთან ერთად, ატენიანებს და აძლიერებს თმას. თმის მოლეკულის წყალთან ურთიერთქმედება ზრდის მის მოცულობას, ანიჭებს მას სირბილესა და მბზინვარებას. გამდიდრებულია კოლაგენით, რომელიც ახდენს სიმშრალის პრევენციას და იცავს თმას გარემოს მავნე ზემოქმედებისგან.

მოცულობა | 200 | 400 მლ



Keep Phyto

Shampoo
აღმდგენი შამპუნი

გამოიყენება გამომშრალ, სუსტ და მტვრევად თმაზე.ფორმულირებულია უნიკალური, მცენარეული კერატინის ნაზავით, რომელიც შაქარსა და ამინომჟავებთან ერთობლივი მოქმედებით, ეხმარება თმას სტრუქტურის აღდგენაში. შამპუნში შემავალი არგანის ზეთი, ინტენსიურად კვებავს თმას და მატებს ბზინვარებას. თმა ხდება რბილი და ხავერდოვანი. თმას ჯანსაღ იერს ანიჭებს.

მოცულობა I 250 I 1000 მლ

Mask
აღმდგენი ნიღაბი

ნიღაბი ეხმარება მტვრევად თმას აღდგენასა და გამოცოცხლებაში. არ ამძიმებს მას, ანიჭებს ჯანმრთელ იერს. მცენარეული წარმოშობის კერატინი და ვიტამინი PP აღადგენენ თმის ბოჭკოებს.ნიღაბი გამდიდრებულია შაქრით, ამინომჟავებით, ჰიპერქუმისა და კალენდულას ექსტრაქტებით,რომლებიც კვებავენ თმას. ნიღაბი თმას რბილს, ხავერდოვანსა და მბზინვარეს ხდის.

მოცულობა I 200 I 400 მლ

Capsule
აღმდგენი კაფსულა

აღმდგენი კაფსულა მშრალი, მტვრევადი და დაზიანებული თმის სამკურნალოდ. ახდენს რეგენერაციას, აძლიერებს კაპილარულ კუტიკულებს. ამავდროულად, იცავს თმას დეჰიდრატაციისა და გარემო ფაქტორებისგან გამოწვეული დაზიანებისგან. მცენარეული კერატინის, ტაურინისა და ვიტამინ PP-ს შემცველობით, ფორმულა აღადგენს თმის ბოჭკოებს. გამდიდრებულია შაქრით, ამინომჟავებითა და ლინდენის ექსტრაქტებით, რაც საშუალებას აძლევს დასუსტებულ და ენერგია დაკარგულ თმას დაიბრუნოს სიძლიერე.

მოცულობა I 12 ც / 7 მლ



Nourish

Shampoo
მკვებავი შამპუნი

შამპუნი გამომშრალი, დაზიანებული თმისთვის. სპეციფიკური ინგრედიენტებით, როგორებიცაა: კოლიგლუტამინის მჟავა და პროლინი, ანიჭებენ თმას მოცულობას და აჯანსაღებენ მის სტრუქტურას. ბაბასუს ზეთისა და მურუმურუს კარაქის კომპლექსი, ჰიდროლიზებული ხორბლის ცილებისა და მელიფიორის თაფლის ექსტრაქტით, იცავენ, კვებავენ თმას და ანიჭებენ მას წარმოუდგენელ სირბილეს, ბზინვარებასა და ჯანმრთელ იერს.

მოცულობა I 250 I 1000 მლ

Mask
მკვებავი ნიღაბი

მკვებავი ნიღაბი თაფლის ექსტრაქტით, თმას ბუნებრივ სირბილესა და ელასტიკურობას სძენს. შიის კარაქი, პოლიგლუტამინის მჟავა, პროლინი და ჰიდროლიზებული ხორბლის ცილები, კვებავენ და სძენენ თმას მოცულობას. ბაბასუს ზეთისა და მურუმურუს კარაქის კომპლექსი, მელიფიორის თაფლის ექსტრაქტთან ერთად, ზრუნავს თმის ღერის დაცვაზე, სირბილესა და მბზინვარებაზე. უნიკალურ ინგრედიენტთა ერთობლიობა ხელს უწყობს დაზიანებული და დასუსტებული თმის აღდგენას.

მოცულობა I 200 I 400 მლ



Scalp Line

Lossless Shampoo

ცვენის საწინააღმდეგო შამპუნი

ცვენის საწინააღმდგეო შამპუნი გაჯერებულია ამინომჟავების კომპლექსით, ნატურალური ძირტკბილას და ჩილის წიწაკის ექსტრაქტით, რომელიც ამაგრებს თმის ბოლქვებს და უზრუნველყოფს თმის გაძლიერებას.

მოცულობა | შამპუნი | 250 | 1000 მლ

Dandfuff Shampoo

ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი

ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი შეიცავს ორგანული თიმის ექსტრაქტებს, რომელიც უზრუნველყოფს კანის სიმშრალის თავიდან აცილებას და სკალპის ბუნებრივ დატენიანებას.

მოცულობა | შამპუნი | 250 | 1000 მლ

Equilibrium Shampoo

ცხიმიანი თმის შამპუნი

ცხიმიანი თმის შამპუნი შეიცავს ორგანული გრეიფრუტისა და ჭინჭრის ექსტრაქტებს, რომელიც ამინომჟავასთან და ვიტამინის კომპლექსთან ერთად ხელს უწყობს ცხიმის გამომუშავების დაბალანსებას და სკალპის დამშვიდებას. უნარჩუნებს HP ბალანსს.

მოცულობა | შამპუნი | 250 | 1000 მლ



Silver Mud

Hair Scrub

ცხიმიანი თმის სკრაბი

გამწმენდი სკრაბი მცენარეული გრანულებით ებრძვის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ქერტლი და სებორეა. აქვს ინტენსიური გამწმენდი, აღმდგენი და გამაძლიერებელი მოქმედება.

გამოყენების წესი: 25-30 გრამი პროდუქტი დაიტანეთ ნოტიო თმაზე, სკალპსა და სიგრძეზე ფუნჯით. შეიზილეთ 2-3 წუთის განმავლობაში. კარგად ჩამოიბანეთ შამპუნის გარეშე

მოცულობა | შამპუნი | 200 მლ



Lossless Phials

ცვენის საწინააღმდეგო კაფსულები

კაფსულა ხელს უწყობს კანის სიმშრალის თავიდან აცილების პროცესს და უნარჩუნებს ჰიდრატაციის ბუნებრივ დონეს. ორგანული თიხის ექსტრაქტები და კომპლექსური სამკურნალო ინგრედიენტები, ერთად ებრძვიან ქერტლის წარმოქმნას.

თანაბრად წაისვით პირსახოცით შემშრალებულ თმაზე. გადაინაწილეთ სკალპზე და ნაზად შეიზილეთ სრულ შეწოვამდე. არ ჩამოიბანოთ.
ამ პროდუქტის გამოყენება რეკომენდებულია კვირაში 3-ჯერ 60 დღის განმავლობაში.

მოცულობა I 12 X 7 მლ



Shine Serum

ბზინვარების შრატი

შრატი ხელს უწყობს თმის ჰიდრატაციას. უზრუნველყოფს თმის ღერის ღრმა კვებას და რეგენერაციას, მატებს მას მბზინვარებას, იცავს თმის სტრუქტურას გარემოს დამაზიანებელი ეფექტებისგან. აჯანსაღებას დაზიანებულ თმას, მნიშვნელოვნად ამცირებს დაყოფილი ბოლოების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მოცულობა I 100 მლ



Goldust

ოქროს მტვერი

ორფაზიანი დამატენიანებელი სპრეი პარფიუმის სურნელით. ფისპოგლიცერული მჟავა, PGA-ს და ამინო ვიტამინების კომპლექსის მეშვეობით თმას ხდის აბრეშუმისებრ მბზინვარეს, უზრუნველყოფს დატენიანებას და ანიჭებს მას ბუნებრივ სილამაზეს ხანგრძლივი ეფექტით. იცავს თმას გარემოს მავნე ზემოქმედებისგან.

მოცულობა I 125 მლ



Argan Oasis

არგანის ზეთი

არგანის ზეთი გამოიყენება დაზიანებული თმის რეგენერაციისთვის. მკვებავი, აღმდგენი და დამცავი თვისებების მეშვეობით, არგან ოაზისი, რომელიც არის არგანის ხის ზეთის ნაწილი, კვებავს, იცავს და აღადგენს თმის სტრუქტურას. ანიჭებს მას ბუნებრივ სიკაშკაშესა და აბრეშუმისებრ ბზინვარებას, ისე, რომ თმას უნარჩუნდება პირვანდელი მოცულობა. ამ თვისებებით ზეთი განსაკუთრებით ეფექტურია მშრალი, შეღებილი და დაზიანებული თმისთვის. აქვს პარფიუმის სურნელი.

მოცულობა I 150 მლ



Wild Srtaight

თერმო დამცავი სპრეი

სპრეი აღადგენს თმის სტრუქტურას. შეიცავს სითბოს ამტან კომპონენტებს, შიის კარაქსა და კერამიდ A2-ს, რომელიც იცავს თმას მაღალი ტემპერატურისგან. თმა რჩება რბილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში.იდეალურია საშრობის და თმის უთოს გამოყენების დროს. პროდუქტი, ასევე, ხელს უშლის თმის დამუხტვას, იცავს მას ნესტისგან. მასში შემავალი ინგრედიენტები იცავენ თმას დაზიანებისგან და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან..

მოცულობა I 250 მლ



Wild Shine

ბზინვარების სპრეი

სპრეი ხანგრძლივი დროის განმავლობაში თმას ანიჭებს ბუნებრივ ბზინვარებას. შეიცავს ჟოჟობას ზეთს, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია შეღებილი, მშრალი და მტვრევადი თმისთვის. აღადგენს თმას.რეკომენდებულია ნებისმიერი თმისა და ვარცხნილობისთვის.

მოცულობა I 175 მლ



Wild Foam Design Gel

ქაფი მოცულობისა და ბზინვარებისთვის

ქაფ- გელი მუსი გამოიყენება ვარცხნილობის, ფიქსაციისა და მოცულობის მისაღებად. ანიჭებს თმას შეუდარებელ ბზინვარებას. აქვს სასიამოვნო სურნელი.

მოცულობა I 300 მლ

თმის ქაფ-გელი სველი ეფექტით

გელ მუსი სველი ეფექტით, ანიჭებს თმას სველ ეფექტს, ფიქსაციას და ბზინვარებას. არ ცხიმიანდება და არ მძიმდება თმა.

მოცულობა I 300 მლ



Sugar Fix

მოცულობის სპრეი

სინთეზური ფიქსაცია პოლიმერების და ალკოჰოლის გარეშე. ვარცხნილობის შენარჩუნებაზე მოქმედებს შაქრის ექსტრაქტი და ზრუნავს ფიქსაციაზე მთელი დღის განმავლობაში. ანიჭებს თმას სირბილეს, ტენიანობას და ბზინვარებას. პროფესიონალური მოცულობისთვის შექმნილი ფორმულა, ასევე ამცირებს თმის დამუხტვას და იცავს მას გარემოს მავნე ზემოქმედებისგან.

მოცულობა I 200 მლ





Wild Fix

თმის ლაქი აეროზოლის გარეშე

ფორმულა შექმნილია სასურველი ვარცხნილობის მისაღებად. თმას ანიჭებს ძლიერ და ამავდროულად, ბუნებრივ ფიქსაციას. იცავს, აძლიერებს და კვებავს თმას. რეკომენდებულია ნებისმიერი ვარცხნილობის დროს.

მოცულობა | 300 მლ

Jungle Mist

ძლიერი ფიქსაციის ლაქი

იდეალურია მოცულობის მისაღებად და ვარცხნილობის ფიქსაციისთვის. თმა ინარჩუნებს ბუნებრიობას მთელი დღის განმავლობაში. ლაქი არ აცხიმიანებს და არ აბინძურებს თმას

მოცულობა | 500 მლ

Rockstar

მაქსიმალური ფიქსაციის ლაქი

ლაქი ანიჭებს თმას ბუნებრივ მოცულობას და ფიქსაციას. სპეციალური ფორმულა დაფუძნებულია B5 პროვიტამინზე. აფიქსირებს თმის თითოეულ ღერს. ანიჭებს მას განსაკუთრებულ ბზინვარებას. უნარჩუნებს ვარცხნილობას მთელი დღის განმავლობაში.

მოცულობა | 500 მლ

Water Chill

ცვილი გამჭვირვალე ეფექტით

ჰოლოგრაფიული წყლის ცვილი შექმნილია გამჭირვალე, მსუბუქი, მაგრამ ძლიერი ფიქსაციისთვის. არ აცხიმიანებს თმას, აძლევს სასურველ ფორმას, არ ტოვებს ლაქებს.რეკომენდებულია ყველა ტიპის თმის ვარცხნილობისთვის. მარტივად ცილდება თმიდან. გამოიყენება მშრალ თმაზე.

მოცულობა | 75 მლ

Water Matt

ცვილი მატუი ეფექტით

ცვილი იდეალურია მათთვის, ვისაც სურს თმის ვარცხნილობის შენარჩუნება მთელი დღის განმავლობაში. არ აცხიმიანებს თმას, უნარჩუნებს მატუ ეფექტს, გამოიყენება თმის მოდელირებისთვის. მარტივად ცილდება თმიდან. გამოიყენება მშრალ თმაზე.

მოცულობა | 75 მლ



HAIR COMPANY
PROFESSIONAL

კომპანია Beauty Nova 9 ბრენდს მოიცავს, თმის მოვლის პროფესიონალური მიმართულებით, რომელთაგან ერთ-ერთი არის Hair Company. ბრენდს დღეის მონაცემებით მსოფლიოს მასშტაბით 70 000-ზე მეტ სალონში შევხდებით. Hair Company-ს პროდუქცია იქმნება ლაბორატორიაში, კვლევების შედეგად უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

Hair Company-ს დისტრიბუცია საქართველოში JF Georgia-მ 2021 წელს დაიწყო. კომპანიისთვის ეს ბრენდი მოწინავე პოზიციაზეა, იმ 35 ბრენდიდან, რომლის წარმომადგენელიც არის საქართველოსა და ამიერ კავკასიაში. Hair Company-ს პროდუქცია საქართვლოს მასშტაბით 2 000-მდე ლოკაციაზეა განთავსებული და დიდი პოპულარობით სარგებლობს.



Inimitable Color

თმის საღებავი
პალიტრა მოიცავს 108 ფერს

საღებავი 100%- ით ფარავს ჭაღარას და ინარჩუნებს ფერს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიაკის დაბალი შემცველობა ხელს უშლის თმის კუტიკულების დაზიანებას. საღებავი ატონიზირებს და აღიავებს თმას 2 დონით.ანიჭებს თვალისმომჭრელ ბზინვარებას.

კომპლექტი მოიცავს: 7 პერმანენტულ და უამრავ პასტელურ ფერს, თმისთვის მოდური ელფერის მისაღებად 2 მულტიპლიკატორს, რომლის დახმარებით შესაძლებელია ახალი ნიუანსების შექმნა.

მოცულობა I 100 მლ



Color Drops

ფერის პიგმენტი
პალიტრა მოიცავს 9 ფერს

კონცენტრირებული პიგმენტი ზავდება ნიღაბთან ერთად. აცოცხლებს თმის ფერს, ატენიანებს და ბზინვარებას სძენს მას. ზეთების, კარაქის და ლუმინესცინის ნაზავს აქვს ანტიოქსიდანტური და გამაძლიერებელი თვისებები, ისინი თმის ელასტიურობას და ბზინვარებას უზრუნველჰყოფენ.

მოცულობა I 50 მლ



Colouring Cream

უამიაკო თმის საღებავი
პალიტრა მოიცავს 47 ფერს

პალიტრაში წარმოდგენილია 47 ფერი. საღებავი არ შეიცავს ამიაკს, იგი შექმნილია მიკრო პიგმენტებით, რომელიც ეხმარება თმას ფერის შენარჩუნებაში, ატენიანებს და ბზინვარებას სძენს მას. მასში შემავალი ინგრედიენტები: ლუმინესცინი, თხილი და წაბლის ექსტრაქტი თმის ელასტიურობას და ბზინვარებას უზრუნველყოფს.

მოცულობა I 100 მლ



Oxidant Emulsion

საღებავის გამხსნელი
5 ფორმულირება: 1.5%, 3%, 6%, 9% 12%

გამხსნელი დამზადებულია აბრეშუმის და თეთრი მარგალიტის ექსტრაქტით, მარტივად ზავდება ნებისმიერ კრემ-საღებავსა და გელში. შეიცავს სტაბილიზებულ წყალბადის პეროქსიდს.

მოცულობა I 60 I 1000 მლ



Bleaching Powder

გამაღიავებელი ფხვნილი

გამაღიავებელი ფხვნილი თმას აღიავებს 9 დონით. მის შემადგენლობაშია აბრეშუმის ცილის და ნეკრის ფხვნილი, რომელიც იცავს თმას დაზიანებისგან გაღიავების დროს.

მოცულობა I 500 მლ



Bleaching Powder

9- დონის გამაღიავებელი ფხვნილი

ინოვაციური მატჩას გამაღიავებელი ფხვნილი თმას 9- დონით აღიავებს. პროდუქტს აქვს ანტიოქსიდანტური და დამამშვიდებელი ეფექტი, შეიცავს თმის დამცავ პლექსს, სპირულინას წყალმცენარეების, ჰიალურონის და იაპონური მწვანე ჩაის ანტიოქსიდანტურ და დამატენიანებელ ინგრედიენტებს, რომლებიც ხელს უწყობს თმის სტრუქტურის შენარჩუნებას.

მოცულობა I 500 მლ



Color Drops mask

ფერადი პიგმენტის ნიღაბი

ფერადი პიგმენტის ნიღაბი აცოცხლებს თმის ფერს, ატენიანებს და ბზინვარებას სძენს მას. ზეთების, კარაქის და ლუმინესცინის ნაზავს აქვს ანტიოქსიდანტური და გამაძლიერებელი თვისებები, რაც თმის ელასტიურობასა და ბზინვარებას უზრუნველჰყოფს. გამოიყენება ფერის პიგმენტთან ერთად. შეიცავს შვიდ მცენარეულ ზეთს: ზეითუნის, ნუშის, სოიოს, ბამბის, ავოკადოს, მანგოს, კაკაოს დამატებითი დაცვისა და მოვლისთვის თმას უბრუნებს ბუნებრივ ელასტიურობას და აბრეშუმისებრ ეფექტს. აღადგენს დაზიანებულ,მტვრევად და მშრალ თმას.

მოცულობა I 60 მლ I 1000 მლ



Recovery Booster

აღმდგენი ზეთი-ბუსტერი

სიყვითლის საწინააღმდეგო ღრმა აღმდგენი ბუსტერი გააქტიურებულია მკვებავი ზეთისა და სიყვითლის საწინააღმდეგო აქტივატორების შერევით. მასა, რომელიც შექმნილია ამ ორი პროდუქტის შერწყმით, ღრმად აღწევს თმის სტრუქტურაში და აღადგენს მას უჯრედულ დონეზე. პირველივე გამოყენებისას თმა ხდება უფრო დამყოლი, რბილი და ბზინვარე.

მასში შემავალი ინგრედიენტებია: აბრეშუმის ექსტრაქტი, პანთენოლი, ვიტამინ F, ლავანდა და თეთრი მარგალიტი.

მოცულობა I 500 მლ



Anti Yellow Shampoo

სიყვითლის საწინააღმდეგო შამპუნი

შამპუნი შეიცავს მოცვის ექსტრაქტს და ძლიერ ანტიოქსიდანტებს. იგი მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით, რაც ხელს უწყობს თმის გაჯანსაღებას. ვიტამინი F და პანტენოლი იცავს და ატენიანებს, ხოლო თეთრი მარგალიტი და აბრეშუმი კიდევ უფრო არბილებს და ბრწყინვალებას მატებს მას.

შემადგენლობა: მოცვისა და მინერალების ექსტრაქტი, ვიტამინი F და პანტენოლი.

მოცულობა: 250 მლ



Anti Yellow Mask

სიყვითლის საწინააღმდეგო ნიღაბი

ნიღაბი შეიცავს მოცვის ექსტრაქტს და ძლიერ ანტიოქსიდანტებს. იგი მდიდარი ვიტამინებითა და მინერალებით, აჯანსაღებს და აცოცხლებს თმას. ვიტამინი F და პანტენოლი იცავს და ატენიანებს მას, ხოლო თეთრი მარგალიტი და აბრეშუმი აძლიერებს ფერის ინტენსივობას, მატებს ბზინვარებას და სირბილეს.

მოცულობა: 200 I 1000 მლ



Perfectionex

აღმდგენი სისტემა

ინოვაციური პროდუქტი პლექსის და ნიღაბის ფორმულა დამზადებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით

Treat 1 ემატება გამაღიავებელ პროდუქტში და იცავს თმას.

